საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №1/343**

ქ. თელავი „17" „04" 2018 წ.

**სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 34-ე მუხლის, 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის №122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 26-ე მუხლის, 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის, უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2014 წლის 30 მაისს დამტკიცებული (ოქმი №15) „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის" შესახებ დებულების მე-4 მუხლის 4.2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის დავით მახაშვილის სამსახურებრივი ბარათისა (16/04/2018წ. №422937) და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 17 აპრილის №18 ოქმის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე გამოცხადდეს კონკურსი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად მიმდინარე წლის 17 აპრილს, შემდეგი მონაცემების მიხედვით:

**სპორტის მიმართულება**

- ასოცირებული პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე 2 (ორი) წლის ვადით

2. კონკურსში მონაწილე კანდიდატთა მონაცემების შეფასება განხორციელდება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2014 წლის 30 მაისს დამტკიცებული (ოქმი №15) „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის შესახებ დებულების“ მიხედვით;
3. კონკურსში მონაწილეთა რეგისტრაცია დაიწყოს 2018 წლის 18 მაისს და დასრულდეს 2018 წლის 22 მაისს;
4. საბუთების მიღება განხორციელდეს უნივერსიტეტის I კორპუსის II სართულზე № 39-ე ოთახში, შაბათ-კვირის გარდა, 10:00 საათიდან - 17:00 საათამდე;
5. კონკურსის ჩატარების დღედ განისაზღვროს 2018 წლის 24 მაისი;
6. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ადამიანური რესურსების მენეჯერს (ქ. ხმალაძე);
7. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტს;
8. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას (მ. ბეჟანიშვილი) ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე;
9. დაევალოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (მ. მაისურაძე) განცხადების გაზეთში გამოქვეყნება;
10. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს (ნ. კახაშვილი) ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე;
11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

**უნივერსიტეტის რექტორი:** **/ირმა შიოშვილი/**